2. ქ. სოხუმის მე-10, ყვარლის მე-2, ტყიბულის 1-ლი; ონის 1-ლი; ზუგდიდის 1-ლი; მე-2; მე-3; ბათუმის მე-9; რუსთავის მე-2 მე-3; გუდაუთის მე-2; ფოთის მე-3; ამბროლაურის 1-ლი; თელავის 1-ლი, მე-4; საგარეჯოს რაიონის გომბორის; გარდაბნის რაიონის მარტყოფის; საჩხერის რაიონის ქორეთის; თელავის რაიონის ფშავლის; თერჯოლის რაიონის ზედასაზანოს; სამტრედიის რაიონის საჯავახოს; ლანჩხუთის რაიონის შუხუთის საშუალო სკოლები და ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე.

3. წლებების მანძილზე მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის და მოსწავლეთა შორის ნაყოფიერი

მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით:



1. გაბისონია გულნარა გრიგოლის ასული—67-ე საშ. სკოლის მასწავლებელი
 2. ლალუა ეთერი ევტიხის ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგი
 3. გეგემიძე ლონგინოზ ილიას ძე—სამტრედიის რაიონის საჯარვანოს საშ. სკოლის დირექტორი
 4. კვარაცხელია დავით იასონის ძე—გუდაუთის მე-2 საშ. სკოლის მასწავლებელი
 5. ტაბალუა ილია მაქსიმეს ძე—დოცენტი, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის საპატიო თავმჯდომარე
 6. ბაკურაძე ქეთევან ვასილის ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგი
 7. გელაშვილი თამარ ილარიონის ასული—თბილისის მე-12 საშ. სკოლის მასწავლებელი
 8. მელაშვილი ქიშვარდი ილიას ძე—ამბროლაურის 1-ლი საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე
 9. კვარაცხელია ჯუანშერ ალექსანდრეს ძე—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი
 10. ოფიარენკო მუსია გრიგოლის ასული—თელავის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი
 11. ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძე—პროფესორი, თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა კლუბის საპატიო თავ-რე
 12. ხვედელიძე მარიამ ერმალოზის ასული—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგი
- ბ) მოსწავლეთა მე-20 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მომზადებაში აქტიური მონაწილეობისათვის რესპუბლიკის 130 მასწავლებელი დაჯილდოვდეს დიპლომით. სია თან ერთვის.
4. მე-20 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით;
1. ობოლაძე უშანგი—განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე).



2. გურგენიძე ნელი—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

3. ევაძე თეიმურაზი—თბილისის განათლების განუ. გამგე

4. კეცხოველი ნიკოლოზი—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

5. კვარაცხელია ჯუანშერ—თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი.

6. ერისთავი დიმიტრი— ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი.

7. შველიძე ნიკოლოზ—გაზეთ „სახალხო განალების“ რედაქტორი.

8. დევდარიანი შოთა—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორის მოადგილე (საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი).

9. თოფურიძე თამარ—პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

10. დარსალია ქეთევან—განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი.

11. ნოდია კლიმენტი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტი.

5. 21-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია ჩატარდეს 1966 წლის აპრილში.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უზრუნველყონ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში მოსწავლეთა ორგანიზებული ჩაბმა;

ბ) მიალწონ იმას, რომ მოსწავლეებმა კონფერენციისათვის განკუთვნილი თეორიული საკითხების შესწავლისას პრაქტიკულად დააყენონ ცდები, დაამზადონ თვითნაკეთი ხელსაწყოები, მოდულები, შეადგინონ პერბარიუმები, შეაგროვონ კოლექციები, საჭიროების მიხედვით მოხსენებებს დაურთონ ნახაზები და ფოტო-დოკუმენტური მასალები;

გ) შექმნან კონფერენციის რაიონული საქალაქო ხელშემწყობი კომისიები, პერიოდულად წარმოადგინონ ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ;

დ) ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურებმა, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებმა და სახლებმა თავიანთ სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისათვის მზადების საკითხები.

ე) განათლების განყოფილებებმა და კონფერენციის ხელშემწყობმა რაიონულმა, საქალაქო კომისიებმა საჯარო სხდომაზე წინასწარ განიხილონ მოსწავლეთა ნაშრომები და მოწონებული ნამუშევრები დაწესებულ ვადებში გადააგზავნონ თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

7. ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექციამ დროულად დაუშვას კონფერენციის მომზადებისათვის საჭირო მასალები და მითითებანი ადგილებზე, ორგანიზებულად მოაწყოს წარმოდგენილ ნამუშევართა რეცენზირება და ავტორებამდე დაყვანა.

8. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის საჭიროებისათვის გამოუყოს თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს საბეჭდი ქაღალდი.

9. გაზეთ „სახალხო განათლების“, და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“, რედაქციებმა გააშუქონ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისათვის მზადების მიმდინარეობა.

10. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლმ-
გიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეც-
ნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის სა-
ქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1965 წლის 6 აგვისტო

1965—1966 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატე-
ბის, საბავშვო დაწესებულებების მომზადების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და გა-
ნათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო-დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის-
პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და
საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მზადება
საყოველთაო სახალხო საქმედ იქცა. აღნიშნულ საქმეში დიდ დახმარე-
ბას უწევენ სახალხო განათლების მუშაკებს ქალაქებისა და რაიონ-
ების პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სა-
მეურნეო ორგანიზაციები.

სწორედ სკოლისადმი ნამდვილი პარტიული მიდგომით არის
ნაკარნახევი ქ.თბილისისა და ქობულეთის რაიონის მშრომელთა საქ-
მიანობა, რომლებმაც სკოლების, სკოლა-ინტერნატების და საბავშვო
დაწესებულებების 1964-1965 სასწავლო წლისათვის სანიმუშო მომ-
ზადებისათვის მოიპოვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და
საქართველოს პროფკავშირთა პრეზიდიუმის გარდამავალი დროშები.
ასევე კარგად მოემზადნენ გასული სასწავლო წლისათვის ზუგდიდის,
გალის, ლაჩხუთის და გურჯაანის რაიონები და საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლებისა და
სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გარდამავალი
დროშები დაიმსახურეს.

მიმდინარე წელს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქო-
თხი განხილულ იქნა რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში^{ქვემოთ} კონ-
ტიული კომიტეტების ბიუროების და მშრომელთა დეპუტატების^{სამე-}
ქოების აღმასკომების სხდომებზე. ყველა სკოლას, სკოლა-ინტერნატსა
და საბავშვო დაწესებულებას შედგენილი აქვს ახალი სასწავლო
წლისათვის მზადების კალენდარული გეგმა. სკოლებს დაზუსტებული
აქვთ პირველ კლასებში ჩასარიცხ ბავშვთა კონტინგენტი. 1965-1966
სასწავლო წელს პირველ კლასებში სახალხო მეურნეობის გეგმით მი-
საღებია 86.000 ბავშვი. სკოლებს დაზუსტებული აქვთ წინა წლებში
სწავლას ჩამოშორებული 7-15 წლის ასაკის ბავშვთა სიები, რომლებიც
სასწავლო წლიდან უნდა დაუბრუნდნენ სკოლას.

1965-1966 სასწავლო წლისათვის მზადება კარგად მიმდინა-
რეობს ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ქობულეთის, ვალის, მახარაძის,
ყვარლისა და სხვა რაიონებში.

ახალი სასწავლო წლისათვის კარგად ემზადებიან ქ. თბილისის
პირველი, მე-3, მე-20, 28-ე, 66-ე, 77-ე, 88-ე სკოლები, ქუთაისის
პირველი, მეორე და მესამე, ბროწეულას, ბეთანიის, კასპის, ლაჯა-
ნურის, გურჯაანის, დუშეთის და აჭარის ასსრ სკოლა-ინტერნატები
ვაკის, ვაშლოვანის, სამგორის, სურამისა და ეწრის საბავშვო სახლები.

დასახელებული რაიონების სკოლები, სკოლა-ინტერნატები და
საბავშვო სახლები დროულად შეუდგნენ შენობა-ნაგებობათა რემონტს
ზამთრისათვის საკმაო რაოდენობის საწვავი მასალაა დამზადებული,
შეესებულია კაბინეტ-ლაბორატორიები ხელსაწყო-იარაღებით, შეზი-
დულია სახელმძღვანელოები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები.

განათლების სამინისტროს საბაზო მალაზიებიდან რესპუბლი-
კის სკოლებს უკვე შესყიდული აქვთ 839 ათასი მანეთის ხელსაწყო-
იარაღები სასწავლო კაბინეტებისათვის. ბევრ ქალაქსა და რაიონში სა-
ზოგადოებრივი სახსრებით შენდება ახალი სასკოლო შენობები, მაგა-
ლითად, აჭარის ასსრ-ში შენდება 24 ახალი სასკოლო შენობა; ვალის
რაიონში შენდება 5 სასკოლო შენობა, რაზეც 390000 მანეთი დაიხარ-
ჯება, ჩოხატაურის რაიონში 4, რაც 137 ათასი მანეთი უჯდებათ, ჩხო-
როწყუს რაიონში—4 (130 ათასი მანეთი), წითელწყაროს რაიონში
—3 (240 ათასი მანეთი), მახარაძის რაიონში—3 (135 ათასი მანეთი)
და ა. შ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და პროცკავში-
რის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ა/წლის ივლისის თვეში შეისწავ-
ლა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობა რესპუბლი-



კის 12 რაიონში. შემოწმების შედეგად გამოიჩინა, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში დღემდე არადაამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მაგალითად, სასკოლო შენობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტები ნელი ტემპით სრულდება ხაშურის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, კასპისა და სხვა რაიონებში.

ასევე ნელი ტემპით მიმდინარეობს სასკოლო ინვენტარის შეკეთება ლაგოდეხის, ბოლნისის, მარნეულისა და სხვა რაიონებში.

ახმეტის რაიონს ინვენტარის შესაძენად გამოყოფილი 15000 მანეთი 1-ლი აგვისტოსათვის არ ჰქონდა ათვისებული.

კასპის, ლაგოდეხის და ახმეტის რაიონებში პროფკავშირის რაიონულმა და ადგილობრივმა კომიტეტებმა ვერ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკოლებს შორის ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად, ხოლო კომკავშირის ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ შეძლეს მოსწავლე ახალგაზრდობის დარაზმვა სასკოლო შენობებისა და ინვენტარის რემონტის ჩასატარებლად.

ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ვარდბნის რაიონში. მაგალითად, კოჯრის არცერთ საბავშვო-სახლში შენობა-ნაგებობათა რემონტი დღემდე არაა დაწყებული. არ აუთვისებიათ რბილი და მაგარი ინვენტარის თანხები. რაიონის სკოლებში არაა შეზიდული საკმაო რაოდენობის სათბობი მასალა.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სრულ უმოქმედობას იჩენენ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მზრუნველთა საბჭოები. ბევრ საბავშვო სახლს ასეთი საბჭო ჩამოყალიბებულიც არა აქვს.

ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება კოჯრის, ბარისახოს, ახალქალაქის, ახალდაბის, სამტრედიის, საგურამოს, თეთრიწყაროს, ადიგენისა და წალენჯიხის სკოლა-ინტერნატებში, ნორიოს, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის საბავშვო სახლებში.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის მასალები განათლების სამინისტროში ქ. ქ. რუსთავსა და ტყიბულს, ვარდბნის, ლენტეხისა და მესტიის რაიონებს დღემდე არ წარმოუდგენიათ.

არადაამაკმაყოფილებლად სრულდება სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების კაპიტალური მშენებლობების გეგმები. დაჯამებუ-

ლია 7 თვის გეგმის შესრულება გასაშვებ ობიექტებზე და გეგმა შე-
რულებულია მხოლოდ 52%-ით.

1965-1966 სასწავლო წლისათვის გეგმით გათვალისწინებულია
107 სახელწოდების სახელმძღვანელოს გამოცემა, 2891 ათასი საერ-
თო ტირაჟით. 1 აგვისტოსათვის გამოცემულია და გადაეცა წიგნით
მოვაჭრე ორგანიზაციებს 105 სახელწოდების სახელმძღვანელო. დარ-
ჩა გამოსაცემი „საზოგადოებათმცოდნეობა“ და „დედა ენა“ (მეორე
ნაწილი). რუსული სკოლებისათვის რსფსრ-დან უნდა მიგვეღო 92
სახელწოდების სახელმძღვანელო. მიღებულია 90 დასახელების სა-
ხელმძღვანელო; სომხური სკოლებისათვის 95-დან მიღებულია 83;
აზერბაიჯანული სკოლებისათვის — 86-დან, მიღებულია 54.

ნელი ტემპით მიმდინარეობს რაიონებში სახელმძღვანელოე-
ბის შეზიდვა. სკოლები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას სავაჭ-
ორგანიზაციების მიერ ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვასა
და გავრცელებას.

1965 წლის 1 აგვისტოსათვის ქართული რვაწლიანი სკოლის
13 სახელწოდების პროგრამიდან დაბეჭდილია 7, ხოლო ქართული
საშუალო სკოლის 11 სახელწოდების პროგრამიდან დაბეჭდილია 5.

რსფსრ-დან გამოწერილია რუსული სკოლებისათვის რვაწლიანი
სკოლის 14 სახელწოდების პროგრამა, მიღებულია 9 სახელწოდების
საშუალო სკოლის 11 სახელწოდების პროგრამიდან მიღებულია 7;
სალამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების III-
IV და V-XI კლასებში შესასწავლი საგნების 11 დასახელების პროგ-
რამიდან დაბეჭდილია და მზადაა გასავრცელებლად მხოლოდ 3
დასახელების პროგრამა, დანარჩენი ჯერ არ დაბეჭდილა.

რაიონებში ჯერ კიდევ არ არის დაგზავნილი გამოცემული პროგ-
რამები.

ახალი სასწავლო წლისათვის სასკოლო ინვენტარის დამზადე-
ბა ნელი ტემპით მიმდინარეობს. დამზადებულია მერხი 17655 (გეგ-
მით 30000), დაფა 2939 (გეგმით 5000), მასწავლებლის მაგიდა 1598
(3000), სადემონსტრაციო მაგიდა 90, (100), კარადა ფიზიკა-ქიმი-
ის ხელსაწყოთა შესანახად 723 (1300), ლაბორატორიული მაგიდა
1263 (3000). დამხმარე მაგადა 330 (1000).

არადამაკმაყოფილებელია სასკოლო დოკუმენტაციის დამ-
ზადებაც. გეგმით გათვალისწინებული 60 ათასი ცალი საკლასო ჟურ-
ნალიდან 1 აგვისტოსათვის დამზადებულია 20 ათასი ცალი, მოსწავ-



ლის დღიური უნდა დაბეჭდილიყო 7000 ცალი და დღეისათვის და-
ბეჭდილია 4000 ცალი.

1965 წელს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს ფი-
ლიალებთან ერთად გეგმით უნდა გადაემზადებინა წარმოებიდან მო-
წყვეტით 870 მასწავლებელი, ფაქტიურად 1 აგვისტოსათვის გადამ-
ზადებულია—864, ხოლო წარმოებიდან მოუწყვეტლივ კი—2450. ფაქ-
ტიურად გადამზადებულია 1711.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულება-
ში ვადმოცემულ უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეცი-
ალისტებიდან დღეისათვის სამუშაოზე განაწილებულია 1958 კაცი.
რესპუბლიკის სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია უმაღლესი
განათლების მქონე სპეციალისტებით, მაგრამ ჯერ კიდევ გვაკლია
ზოგიერთ სკოლებში უცხო ენების, რუსული ენის და მათემატიკის
მასწავლებლები.

1965-1966 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნა-
ტებისა და საბავშვო დაწესებულებების წარმატებით მომზადების უზ-
რუნველსაყოფად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კო-
ლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწე-
სებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკუ-
რი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. აუზაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამ-
ხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების-
განათლების განყოფილებათა გამგეებმა, განათლების, უმაღლესი სკო-
ლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის
საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

ა) სისტემატურად შეამოწმონ ახალი სასწავლო წლისათვის
სკოლების, სკოლა-ინტერნატების და საბავშვო დაწესებულებების
მოსამზადებელ სამუშაოთა მიმდინარეობა და ა/წ 20 აგვისტომდე
უზრუნველყონ მათი მალაღმარებლობა და შესრულება;

ბ) ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კოლმეურნეობათა და სხვა სა-
ზოგადოებრივი ორგანიზაციების თაოსნობას ახალი სასკოლო მშე-
ნებლობის, არსებულ სასკოლო შენობებზე მიშენება-დაშენებისა და
სხვა სამუშაოთა ფართოდ გაშლას;

გ) მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქარ-
ტლოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1965 წლის 28

მაისის დადგენილებით „ახალი 1965-1966 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების შესახებ“;

დ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა შესაბამისად განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განსახორციელებლად;

ე) ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოაწყონ ახალგაზრდა სპეციალისტებთან შეხვედრა, გააცნონ მათ სკოლისა და მასწავლებლების წინაშე მდგომი ახალი ამოცანები, უზრუნველყონ მათი ადგილზე გამოცხადება, შეუქმნან მათ ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობები.

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია), სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე), პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო-მასობრივი მუშაობის განყოფილებამ (ამხ. ა. დადიანი): სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო და სკოლისგარეშე დაწესებულებების მზადების მიმდინარეობას.

3. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) ყოველდღიური კონტროლი დააწესოს საღამოს (ცვლის) სკოლების სახალხო სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული ქსელისა და კონტინგენტის შესრულებაზე და ამ სკოლებისათვის დადგენილ ვადაში პროგრამების დაბეჭდვაზე.

4. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე), მეთოდგანყოფილებამ (ამხ. ვ. კვიციანი): მკაცრი კონტროლი დააწესონ სახელმძღვანელოებისა და პროგრამების დადგენილ ვადებში გამოცემასა და დაგზავნაზე.

5. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. შ. ბუთიაშვილი):

გააძლიეროს კონტროლი განათლების ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობაზე, მიიღოს გადაამჭრელი ზომები მშენებლობის გეგმების მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებაზე. 1965 წ. აგვისტოში მოახსენოს კოლეგიასა და პრეზიდიუმს გასაშვები ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე.

6. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

სისტემატური კონტროლი გაუწიოს სახალხო-სამეურნეო გეგმით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსათვის სასკოლო ავეჯის დროულად დამზადებას, სახელმძღვანელოების ადგილებზე დაგზავნას, სასწავლო ნივთების დამზადებასა და შემოზიდვას (სათანადო დახაზულობის რვეულები, კალმისტრები, კალმები, ფანქრები, მელანი, ცარცი და სხვ.) მიაღწიონ იმას, რომ სათანადო საწარმოებმა დროულად და კარგი ხარისხის ინვენტარი დაამზადონ, ხოლო განათლების განყოფილებებმა დამზადებული ინვენტარი დროზე შეიძინონ ადგილებზე.

7. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე):

სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს განათლების ადგილობრივ ორგანოებს 1965 წლის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სასკოლო ქსელის, კლასების დატვირთვის ნორმათა მტკიცე დაცვაში.

მიიღოს ვადამჭრელი ზომები ახალი სასწავლო წლისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების ნორმალური დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

8. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე):

საჭირო კონტროლი განახორციელოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განვარგულებაში გადმოცემულ უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილებასა და ადგილებზე გამოცხადებაზე. დროულად დანიშნოს ვაკანტურ ადგილებზე სათანადო განათლების მქონე სპეციალისტები.

9. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, პროფკავშირის საქალაქო, რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების და საბავშვო დაწესებულებების მზადების შესახებ საბოლოო შეჯამებული მასალები და მშრომელთა დეპუტატების რაიონის (ქალაქის) საბჭოს მიერ გამოყოფილი კომისიის აქტები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტს ა/წ 5 სექტემბრამდე.

10. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე);
სისტემატურად გააშუქოს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლები
და საბავშვო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი
სკოლისა და სამეცნიერო
დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის
საქართველოს რესპუბ-
ლიკური კომიტეტის თავ-რე
ლ. მალაფერიძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ.
31 ივლისის ბრძანება № 834

დაწყებით კლასებში სწავლების სისტემის სრულყოფის პრობლე-
მებზე პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-
ტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის კვლევითი
მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

გაფეცანი რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პე-
დაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ექსპე-
რიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის (გამგე პედაგოგიკის მეც-
ნიერებათა დოქტორი ბ. ხაჭაპურიძე) მუშაობას, აღვნიშნავ, რომ
იგი აწარმოებს ნაყოფიერ ექსპერიმენტულ კვლევას დაწყებითი კლა-
სების მოსწავლეთა რეალური შესაძლებლობის გამოვლენისა და მის
საფუძველზე სწავლებისა და აღზრდის სისტემის სრულყოფის პრობ-
ლემებზე. 1964-65 სასწავლო წელს ლაბორატორიის გეგმითა და ხელ-
მძღვანელობით მუშაობდა თოთხმეტი I-IV საექსპერიმენტო კლასი,
მათ შორის ცხრა I კლასი (თბილისის მე-10 და 24-ე, თელავის რაი-
ონის აკურის, ვანთის, ქვემო ხოდაშნის, წინანდლის საშუალო და ბუ-
შეტის მ-წლიან სკოლებში).

მაღალი შედეგებია მოპოვებული მოსწავლეებში წერის ჩვევე-
ბის შემუშავებისა და წერითი მეტყველების განვითარებაში. გაცილე-
ბით მოკლე დროში მოსწავლეებს გამოუმუშავდათ ცალხაზიან რვე-
ულებში წერის საკმაოდ ავტომატური ჩვევები და სათანადო კალიგ-
რაფია. ყოველივე ეს მიღწეულ იქნა საანბანო პერიოდის პროგრამ-
ირებული ხასიათის წერის რვეულების, ახალი ნიმუშის დახაზულო-
ბის ბადიანი და ორხაზიანი რვეულების, წერითი სავარჯიშოებისა
და, საერთოდ, წერის სწავლების ახალი სისტემის გამოყენებით.

საყურადღებო შედეგებია მოპოვებული მათემატიკის სწავლე-
ბაში, სპეციალური სავარჯიშოების გამოყენებით, პროგრამის გადა-
მუშავებით შესაძლებელი გახდა მოსწავლეებისათვის მარტივი აღ-
გებრული ელემენტების მიწოდება და ამის საფუძველზე მთელი
რიგი არითმეტიკული ოპერაციების უფრო ღრმად გაგება.

მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული საექსპერიმენტო II კლასებში რუსული ენის სწავლებაში, კერძოდ, რუსული წერის ჩვევების ფორმირებაში. ამ კლასების მოსწავლეებს რუსული ენის სწავლების პირველ წელსვე შეუმუშავდათ ცალხაზიან რვეულებში გადაბმული წერის სათანადო ჩვევები. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე I კლასში ხატვისა და სიმღერა-მუსიკის სწავლების გარდაქმნა.

საექსპერიმენტო I კლასის მოსწავლეებმა გაიარეს II კლასის პროგრამით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები ქართულ ენასა და მათემატიკაში.

საექსპერიმენტო კლასებში განხორციელებულია უნიშნოდ სწავლების ცდა, რის შედეგად ამაღლდა მოსწავლეთა შეგნებული დამოკიდებულება სწავლისადმი და თვითკონტროლი.

დაწყებით კლასებში სწავლების სისტემის სრულყოფის პრობლემების კვლევის შემდგომი გაუმჯობესება-გაძლიერების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიამ (ამხ. ბ. ხაჭაპურიძე):

ა) გააგრძელოს შემდგომი ექსპერიმენტული კვლევა დაწყებით კლასებში სწავლებისა და აღზრდის სისტემის გარდაქმნის პრობლემასთან დაკავშირებით იმავე საექსპერიმენტო კლასებში (ამჟამად II კლასებში);

ბ) მეცნიერული ანალიზი გაუკეთოს ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს და დაამუშაოს საექსპერიმენტო პროგრამები და სათანადო სასწავლო მასალა ექსპერიმენტის უფრო ფართოდ წარმოებისათვის;

გ) გამოავლინოს II-III კლასებში ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის ელემენტების სწავლების შესაძლებლობანი და სათანადო პროგრამების დამუშავებაში ჩაებას ამ საგნების სპეციალისტი მეცნიერი თანამშრომლები.

2. პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექციამ (ამხ. გრ. ფოფხაძე) სისტემატური დახმარება აღმოუჩინოს ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნორმალურად წარმოებისათვის, შესაძლებლობისამებრ გაათავისუფლოს ლაბორატორიის თანამშრომლები სხვა დავალებებისაგან, შეუწყოს ხელი ლაბორატორიას სწავლების ახალი ტექნიკური ხელსაწ-

ყოების დამუშავებაში, აღჭურვის იგი კვლევისათვის აუცილებელი უახლესი ტექნიკური აპარატურით და სხვ.

3. ექსპერიმენტთა შედეგების პრაქტიკაში მასობრივად შემთხვევების მიზნით:

ა) გამოიყოს რესპუბლიკის (აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, თელავის, ყაზბეგის, ზუგდიდის, ზესტაფონის, ბორჯომის, რაიონების, აგრეთვე ქალაქების თბილისისა და ქუთაისის) სკოლებში 50-60-მდე საექსპერიმენტო I კლასი, რომლებიც იმუშავებენ ლაბორატორიის გეგმითა და ხელმძღვანელობით.

ბ) აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებმა, თელავის, ყაზბეგის, ზესტაფონის, ბორჯომის, ზუგდიდის რაიონებისა და ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის) განყოფილებათა გამგებმა ლაბორატორიასთან შეთანხმებით გამოყონ საექსპერიმენტო კლასები, მასწავლებლები და შექმნან სათანადო პირობები ექსპერიმენტთა ნორმალურად წარმოებისათვის.

გ) მოწვეულ იქნეს ა/წ 25-28 აგვისტოს საექსპერიმენტო კლასების მასწავლებელთა 3-4 დღიანი სემინარი, სადაც მოსმენილ იქნას ლაბორატორიის თანამშრომლების მოხსენებები იმის შესახებ, თუ როგორ მოემზადონ ექსპერიმენტული მუშაობისათვის.

4. ეთხოვოს გამომცემლობა „განათლებას“ (დირექტორი ამხ. ა. გომიაშვილი) დაბეჭდოს მასობრივი ტირაჟით (3000-3000 ცალად-ლაბორატორიის მიერ დამუშავებული ხატვის, სიმღერა-მუსიკის სპეციალური რეეულები, რომლებიც გამოყენებული იქნება საექსპერიმენტო კლასებში.

5. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არგელაძე) შესაძლებლობის ფარგლებში დამატებით გამოიყოს ინსტიტუტს ქალაქი საექსპერიმენტო მასალების (პროგრამები, მითითებანი, პროგრამირებული რეეულები, ახალი სასწავლო მასალები და სხვ.) დაბეჭდვისათვის.

6. ეურნალ „სკოლა და ცხოვრების“ (ამხ. გ. საჯაია) და გაზეთ „სახალხო განათლების“ (ამხ. ნ. შველიძე) რედაქციებმა გააშუქონ პრესაში ექსპერიმენტული მუშაობის წინაარსი და შედეგები.

7. დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. დ. ჯავახია) დააწესოს ზედამხედველობა ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 23 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ.
12 აგვისტოს ბრძანება № 873

რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო გამა-
ჯანსაღებელი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ რესპუბლიკის სკოლამდელი დაწესებულებების საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ზოგიერთი საბავშვო ბაღი აგარაკზე არის გასული მოუმზადებლად, არ აქვთ საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის გეგმა, განათლების განყოფილება მიერ დამტკიცებული აღსაზრდელთა და თანამშრომელთა სიები, სანეპიდსადგურის ნებართვა (ქ. თბილისის № 1 ბაგა-ბაღი, ქ. ბათუმის № 20, ხაშურის, მარნეულის რ-ის სოფ. შაუმიანის საბავშვო ბაღები, (გამგეცი—ვ. ჯელია, ნ. კობახიძე, ნ. გორდელაძე, დ. გრიკორიანი და სხვ.).

იმის შედეგად, რომ ზოგმა განათლების განყოფილებამ გულდასმით არ განიხილა აგარაკზე გასაყვანი სკოლამდელი დაწესებულებების შტატები და ბიუჯეტი, ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულება სათანადოდ არ არის დაკომპლექტებული პედაგოგიური კადრებით, და ამასთან არასწორადაა განაწილებული სამუშაო საათები აღმზრდელებს შორის, მაგალითად, ქ. თბილისის № 2 სანატორულ ბაგა-ბაღში ნაცვლად 6-6 საათისა, ორი აღმზრდელი მუშაობს 9-9 საათს, ერთი—12 საათს; ასეთივე მდგომარეობაა ქ. თბილისის № 1 ბაგა-ბაღში, კარალეთის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღსა და სხვა სკოლამდელ დაწესებულებებში.

ზოგიერთ ბაღს აგარაკზე გაყვანილი ჰყავს სკოლის ასაკის ბავშვები, რაც სავრანობლად აფერხებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვის საქმეს; ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი ქ. ოჩამჩირის № 1 ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღში (გამგე ნ. ეთერია), აქ აგარაკზე გაყვანილი 32 ბავშვიდან 11 სკოლის ასაკისაა.



ბევრგან ბინების დაქირავებისას ირღვევა ზემდგომი ორგანოების დადგენილება. ცალკეული საბავშვო ბაღების გამგეობები კმაყოფილდებიან სიტყვიერი განცხადებით და ბინის ფართობის გაზომვის გარეშე აფორმებენ ხელშეკრულებებს ბინის მფლობელთან და სკოლის დირექტორებთან, რაც იწვევს ზედმეტი თანხების ხარჯვას. მეორეს მხრივ, ზოგიერთ ბაღში დაქირავებული შენობის ნაწილს არადანიშნულებით იყენებენ (ქ. თბილისის № 17, 87, 104, 41 საბავშვო ბაღები, გამგეობი: ა. ტყემელაშვილი, ა. შალამბერიძე, თ. პროზოროვა, ნ. ჯანელიძე), ზოგან სწორად იხდიან შენობის ფასს, მაგრამ ამ შენობაში ერთი ან რამდენიმე ოთახი ფაქტიურად უჭირავს სახლის მფლობელს (ქ. ოჩამჩირის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღი, გამგე ნ. ეთერია, გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღი, გამგე ა. ურიგაშვილი). სრულიად შეუფერებელი ბინა აქვს დაქირავებული ქარელის რაიონის აგარის შაქრის კომბინატის საბავშვო ბაღს. ქ. თბილისის № 82 და ზოგიერთ სხვა საბავშვო ბაღში დაქირავებულ შენობებში თანამშრომლებს უჭირავთ უფრო ფართო ბინები, ვიდრე ბავშვებს.

ზოგან მოუწესრიგებელია სანიტარულ-აიგიენური პირობები, მაგალითად, ქ. თბილისის № 26 (გამგე თ. ნადირაძე), ქ. თბილისის № 112 (გამგე ნ. ჟურკინა), აგარის შაქრის კომბინატის (გამგე ნ. ხეთაფური), ჭიათურის მარგანეცის ტრესტის (გამგე ნ. ლეჟავა) საბავშვო ბაღების საძინებლებში თეთრეული ჭუჭყიანია, ბავშვებს ჩასველებულ ლოგინებში აძინებენ. ხაშურის საბავშვო ბაღის (გამგე ნ. გორდელაძე) სამზარეულოში მაგიდაზე პური გადაუფარებლად არის მიყრილ-მოყრილი, იატაკზე წყლის გუბეებია, ტანსაცმლის კარადებში ჭუჭყიანი ჩვრები და ტალახიანი ფეხსაცმელებია მოთავსებული, იზოლატორში ტახტზე გადაკრულია ჭუჭყიანი, დახეული ქსოვილი. კულაშის საქსოვი ფაბრიკის საბავშვო ბაღში (გამგე თ. არველაძე) გასარეცხი ტანსაცმელი ოთახებშია მიმობნეული. ქ. თბილისის № 26 საბავშვო ბაღში ბავშვები თმადაუფარცხნელები არიან, ჭუჭყიანი ტანსაცმელი აცვიათ, ერთ გოგონას კაბა ლილების ნაცვლად მავთულით ჰქონდა შეკრული, ბავშვთა უმრავლესობას ფეხსაცმელი ზონარშეუკვრელი აქვს; ასევე არადამაკმაყოფილებელია ბავშვების გარეგნობა აგარის შაქრის კომბინატის (გამგე ნ. ხეთაფური) საბავშვო ბაღში.

ზოგან ბავშვებს გულისხმიერად არ უვლიან. ხობის რაიონის ქალაქადიდის მელორეობის საბჭოთა მეურნეობის (გამგე ვ. ბერიძე) საბავშვო ბაღში მიძინარე ბავშვები უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებული; ასევე უყურადღებოდ არიან ბავშვები ქ. თბილისის № 1 ბაგა-ბაღის ბავის ჯგუფში, სადაც 20 ბავშვზე 10 მომვლელია განყოფილი (აღმზრდელები ლ. მამისარაშვილი და ნ. უგრეხელიძე). კულაშის საქსოვი ფაბრიკის საბავშვო ბაღში თვით გამგე და ზოგიერთი აღმზრდელი ღამის პერანგებით, თმადაუვარცხნელები მუშაობდნენ ბავშვებთან.

სკოლამდელი დაწესებულებები არადამაკმაყოფილებლად მარაგდებიან კვების პროდუქტებით; მათ არ ეძლევათ ხილი, ბოსტნეული, ახალი ხორცი, კვერცხი. გარდა ამისა, სავაჭრო ორგანიზაციებიდან ზოგჯერ „საბავშვო ბაღები უფაქტუროდ იღებენ საქონელს (კასპის რაიონის მეტეხის, სამტრედიის რაიონის კულაშის საქსოვი ფაბრიკის საბავშვო ბაღები), ხოლო კასპის რაიონის სოფ. ყარაღაჯის საბავშვო ბაღი ვერ მარაგდება პურით, რის გამო ბავშვებს სახლიდან მოაქვთ პურის ნაჭრები. ზოგ საბავშვო ბაღში ბავშვებს არ ეძლევათ ნორმით გათვალისწინებული ულუფა. ცხაკაიას № 6 საბავშვო ბაღის (გამგე ც. ჭანტურია) სამზარეულოში ზედმეტი აღმოჩნდა 400 გრ. კარაქი, კულაშის საბავშვო ბაღში (გამგე ნ. არველაძე) ბრინჯის ფაფა სულ უცხიმოდ მოამზადეს, ხოლო კარაქის ნაცვლად საწყობში მარგარინი ჰქონდათ შემოტანილი; წალვერის საბავშვო ბაღის მენიუში გათვალისწინებული იყო ხორცი მაკარონით, ფაქტურად ბავშვებს მიეცათ უხორცო მაკარონი.

ღღის რეჟიმის დარღვევის ფაქტებს აღვილი აქვს ქ. თბილისის № 25, ხაშურის, კასპის რაიონის მეტეხის საბავშვო ბაღებში.

ყოველივე ამასთან ერთად დღემდე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის მთავარ სამმართველოს ადგილობრივი ორგანოები სათანადო დახმარებას ვერ უწევენ სკოლამდელ დაწესებულებებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ გარდაქმნან მუშაობა, სისტემატურად განიხილონ და გააანალიზონ აღმზრდელების კალენდარული გეგმები და მისცენ მათ სათანადო მითითებები ყოველდღიური აგეგმვა-აღრიცხვის სწორად



წარმართვისათვის; ზუსტად დაიცვან ზემდგომი ორგანოების დადგენილება და არ დაუშვან დამახინჯებანი ბინების დაქირავეების საქმეში. შეუქმნან აღსაზრდელებს გაკაფებისათვის ნორმალური პირობები, არ დაუშვან დაქირავებული ბინების არადანიშნულებისამებრ გამოყენება; მტკიცე კონტროლი და ხელმძღვანელობა დააწესონ სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) აკრძალონ საბავშვო ბაღების აგარაკებზე გაგზავნა მათი ბიუჯეტის, შტატებისა და აღსაზრდელთა კონტინგენტის დამტკიცების გარეშე. დაუყოვნებლივ განიხილონ აღნიშნული ბრძანება და სათანადო სასჯელი დაადონ სკოლამდელი დაწესებულებების გამგეებსა და აღმზრდელებს საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობაში დაშვებული დარღვევებისათვის;

ბ) არ დაუშვან მცირერიცხოვან (ას აღსაზრდელზე ნაკლები) საბავშვო ბაღების აგარაკებზე გაგზავნა, რადგან ასეთი ბაღების დაკომპლექტება სრული შტატით შეუძლებელია და სკოლამდელ დაწესებულების ნორმალური მუშაობა აგარაკზე მოუხერხებელი ხდება;

გ) მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლომდე წარმოადგინონ ანგარიშები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შორის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარების შესახებ; მათი შედეგებისას ხაზი გაესვას მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, ხელისშემშლელი პირობების დახასიათებას და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ აუცილებელ ღონისძიებებს.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს მისცეს სათანადო მითითება ადგილებზე სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

4. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წინაშე გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე გადასულ სკოლამდელ დაწესებულებათა კვების პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების შესახებ.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შეისწავლოს სკოლამდელი დაწესებულებების სამედიცინო მომსახურება და მისი გაუმჯობესების მიზნით გაატაროს სათანადო ღონისძიებანი.

6. დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლამდელ განყოფილებას მ/წ ოქტომბრის ბოლომდე დააჯამოს 1965 წლის ^{ზაფხულის} განმავლობაში სკოლამდელი დაწესებულებების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები და საკითხი განსახილველად წარმოადგინოს კოლეგიის სხდომაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 6 აგვისტოს № 24 დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უმ. ოზოლაძე

შინაარსი

1. ბრძანება № 722—წალენჯიხის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 3
2. ბრძანება № 774—ნორჩ მხაზველთა მესამე რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მეოთხე კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 7
3. ბრძანება № 775—მოსწავლეთა მე-40 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგებისა და 21-ე კონფერენციის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 39
4. დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა 1965—1966 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო დაწესებულებების მომზადების შესახებ 58
5. ბრძანება № 834—დაწყებით კლასებში სწავლების სისტემის სრულყოფის პრობლემებზე პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის კვლევითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ 66
6. ბრძანება № 873—რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 69

რექტორი უშ. იბოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

შანი 10 კპკ.

შეღწერილია დახაზვად 3/XI-65 წ. ანაწყობის ზომა $6 \times 9^{1/2}$,
ქაღალდის ზომა 60×84 . ხასტამბო ფორმითა როდენობა 5.

ტარაქი 5000.

შეკვ.—07947

შეკვ. № 1032.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
მთავარბოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 11
ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქუჩა. № 19

Тбилисская типография № 11, Главполиграфпрома
Государственного комитета совета Министров Груз. ССР по печати
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19